



ISFED

სამართლიანი არჩევნებისა
და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება



**საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო**

რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

ივნისი, 2018

სარჩევი

I. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება	3
II. აგიტაცია და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.....	5
III. საარჩევნო დავები	10
IV. გადასატანი ყუთის სია.....	20

I. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება

ა) საუბნო კომისიების უფლებამოსილების ვადა

პრობლემის აღწერა

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 25-ე მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად, ახალშექმნილი საუბნო კომისიების პირველი სხდომა იმართება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. აქედან გამომდინარე, საუბნო კომისიები არჩევნებამდე ერთი თვით ადრე იწყებენ ფუნქციონირებას. თუმცა, პრაქტიკა განსხვავდება ამ ნორმისგან. როგორც გასული წლების არჩევნების მონიტორინგით გამოვლინდა, საუბნო კომისიის წევრები არ მუშაობენ სრული დატვირთვით ერთი თვის განმავლობაში და ხშირად არ იმყოფებიან ხოლმე საარჩევნო უბანზე. შეიძლება ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყოს, რომ საუბნო კომისიას მისი ფუნქციებიდან გამომდინარე რეალურად არ აქვს ამ დროის განმავლობაში სამუშაო. შესაბამისად, აზრს მოკლებულია არჩევნების დღემდე ერთი თვით ადრე საუბნო კომისიების შექმნა და მათ მიერ საქმიანობის დაწყება. აუცილებელია შემცირდეს საუბნო კომისიის წევრების უფლებამოსილების ვადა, რაც ერთი მხრივ შესაბამისობაში იქნება არსებულ პრაქტიკასთან და საჭიროებებთან, ხოლო მეორე მხრივ მეტ დროს მისცემს საოლქო კომისიებს არსებითი და ხარისხიანი კონკურსები ჩაატარონ საუბნო კომისიის წევრების შესარჩევად, რაც ამ დროისთვის მხოლოდ ზედაპირულია.

რეკომენდაცია

საუბნო კომისია უფლებამოსილების განხორციელებას უნდა შეუდგეს არჩევნების დღემდე 10 დღით ადრე.

ბ) საარჩევნო კომისიაში წევრების დანიშვნის დამატებითი კრიტერიუმები

პრობლემის აღწერა

ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს მთელ რიგ შემთხვევებში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დაბალი კვალიფიკაციის დონე. აღნიშნული არაერთ არჩევნებზე გამოვლინდა, რაც ხშირად არის ხოლმე მითითებული სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში.¹ აღნიშნული იწვევს უბნის გახსნის, კენჭისყრის, ხმის დავლისა და შედეგების შეჯამების დროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დარღვევას. სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივრები სწორედ ასეთ დარღვევებს შეეხება და მათი უმრავლესობით დაყენებულ მოთხოვნას დარღვევის ჩამდენი კომისიის წევრისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება წარმოადგენს. უმეტეს შემთხვევებში ესაა დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხდება ასევე ადმინისტრაციული

¹ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, გვ.32, <http://www.isfed.ge/main/1355/geo/>
2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 50.
<https://gylla.ge/files/news/2008/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2016-GEO.pdf>

პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნაც, რასაც როგორც წესი ზემდგომი საარჩევნო კომისიები არ აკმაყოფილებენ.

ასეთი მოთხოვნით საჩივრების წარდგენის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ დარღვევის ჩამდენი პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, არამედ უფრო მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს დარღვევის დაფიქსირება, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაში პრობლემების გამოკვეთა და დარღვევის ჩამდენი პირების საარჩევნო ადმინისტრაციაში დანიშვნის თავიდან აცილება მომავალში. თუმცა, მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთჯერადი მოწოდებისა და რეკომენდაციისა,² ასეთი პირები მაინც ინიშნებიან საარჩევნო ადმინისტრაციაში. მაგალითად, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საოლქო კომისიებმა საუბნო კომისიებში 382 ისეთი პირი აირჩიეს, რომელთაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დისციპლინარული პასუხისმგებლობა ჰქონდათ დაკისრებული.³ ასევე 2018 წლის 28 აპრილის საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე ვანის საარჩევნო ოლქში არჩეულ კომისიის წევრთაგან 9 კომისიის წევრს გასულ არჩევნებში დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შენიშვნა/გაფრთხილება. კერძოდ 4 წევრს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, 2 წევრს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ხოლო 3 წევრს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.⁴

მსგავსი პრაქტიკა გარდა იმისა, რომ უარყოფითად აისახება საუბნო კომისიების მუშაობის ხარისხზე, ასევე აზრს უკარგავს პასუხისმგებლობის დაკისრებას და ხელს არ უწყობს დარღვევების პრევენციას.

ასევე, საარჩევნო კომისიებში პროფესიული ნიშნით წევრების არჩევისას პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში ინიშნებიან პირები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში გასულ არჩევნებზე იყვნენ პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულები.⁵ მსგავსი პრაქტიკა აზრს უკარგავს პროფესიული ნიშნით წევრების არჩევას და კითხვებს აჩენს მათი მიუკერძოებლობის და ობიექტურობის შესახებ, რაც თავის მხრივ ზიანს აყენებს საარჩევნო ადმინისტრაციის რეპუტაციას და მის მიმართ სანდოობას. აქედან გამომდინარე, პროფესიული ნიშნით არ უნდა ინიშნებოდნენ ის პირები, რომლებიც იყვნენ პარტიების მიერ დანიშნული ნებისმიერი დონის საარჩევნო კომისიაში.

რეკომენდაცია

საარჩევნო კოდექსით დადგინდეს, რომ საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს პირი:

- რომლის მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ, – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 4 წლის განმავლობაში;
- რომელსაც ბოლო არჩევნებზე დაეკისრა დისციპლინარული პასუხისმგებლობა - აღნიშნული ფაქტიდან 2 წლის განმავლობაში;

² რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის, გვ.7, 10 თებერვალი, 2016 <http://www.isfed.ge/main/1007/geo/>

³ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, გვ.16, <http://www.isfed.ge/main/1355/geo/>

⁴ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია

⁵ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსის მონიტორინგის ანგარიში, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 1 აპრილი, 2016, <http://www.isfed.ge/main/1034/geo/>

- რომელიც ბოლო 2 წლის განმავლობაში იყო პოლიტიკური პარტიის წევრი ან კანდიდატი;
- რომელიც ბოლო 2 არჩევნებიდან ერთ-ერთზე იყო პარტიის მიერ დანიშნული წევრი საარჩევნო კომისიაში.

გ) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სერტიფიცირება

პრობლემის აღწერა

არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევების მთავარი მიზეზი მთელ რიგ შემთხვევებში საუბნო კომისიის წევრების კვალიფიკაციის დაბალი დონეა. ამის გამოსასწორებლად ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს საუბნო კომისიის წევრებისთვის სავალდებულო სერტიფიცირების შემოღება. მოქმედი კანონმდებლობით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ქონა მხოლოდ ცენტრალური და საოლქო კომისიის წევრებს მოეთხოვებათ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ რეკომენდაციას წარმოადგენს შეიცვალოს სერტიფიცირებისადმი მიდგომა და ის მორგებული იყოს შესაბამისი დონეების საარჩევნო ადმინისტრაციის საჭიროებებზე და უფლებამოსილების ფარგლებზე, კერძოდ, შემოღებულ უნდა იქნეს 2 განსხვავებული სირთულის სასერტიფიკაციო გამოცდა: ცესკოს და ოლქის წევრობის მსურველებს უნდა მოეთხოვოთ კონსტიტუციის, საარჩევნო, ადმინისტრაციული კანონმდებლობის კარგი ცოდნა და სხვა შესაბამისი უნარების ქონა, ხოლო საუბნო კომისიის წევრებს - საარჩევნო პროცედურების ცოდნა.

სერტიფიცირების შედეგად უნდა შეიქმნას კანდიდატების მონაცემთა ბაზა, რომელთაგანაც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ყოველი არჩევნების წინ მოხდება დროებითი წევრებით საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება. ბაზაში შეყვანისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას ტერიტორიულობის პრინციპი.

ამ რეფორმის განხორციელება ხელს შეუწყობს ერთი მხრივ კვალიფიკაციის ამაღლებას საარჩევნო ადმინისტრაციაში და მეორე მხრივ კომისიის წევრების ობიექტურად არჩევას, რაც გამორიცხავს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებაში იმ ეჭვებს და ბრალდებებს, რომ კომისიის წევრების, განსაკუთრებით საუბნო კომისიის წევრების, შერჩევა ხდება პოლიტიკური ნიშნით, წინასწარ შედგენილი სიების საფუძველზე, რაც ყოველ არჩევნებზე პრობლემას წარმოადგენს.

რეკომენდაცია

ვინაიდან შემოთავაზებული რეფორმა საკმაოდ რთული და გრძელვადიან პერქსპექტივაზეა გათვლილი, სანამ მისი განხორციელება მოხდება, პირველ ეტაპზე მიგვაჩნია, რომ საუბნო კომისიის წევრების სერტიფიცირების წახალისებისთვის, იმ კომისიის წევრებს, რომელთაც აქვთ სერტიფიკატები მეტი ხელფასი მიეცეთ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც მნიშვნელოვანი რაოდენობის პირებს ექნებათ სერტიფიკატები, ის უკვე სავალდებულო გახდება.

საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიმუშავოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის მსურველთათვის განსხვავებული სირთულის ტესტები არჩევნების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილებიდან გამომდინარე.

II. აგიტაცია და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

2013 წელს საარჩევნო კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე შეზღუდვის დაწესების კუთხით,⁶ თუმცა, გასული წლების საარჩევნო ციკლის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით კვლავ რჩება პრობლემები, რომლებიც გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფისთვის.

ა) აგიტაციის ცნების განმარტება

პრობლემის აღწერა

საარჩევნო კოდექსით, აგიტაციისა და მასში მონაწილეობის ცნების არასათანადო განმარტება პრობლემებს ქმნიდა საარჩევნო სუბიექტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის წინასაარჩევნო პერიოდში.⁷

ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ხდება აგიტაციის წარმოება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობს და სხვადასხვაგვარად ხდება არსებული ნორმების გამოყენება. განსაკუთრებით მწვავედ ეხება ეს საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო საათებში ელექტრონული/სოციალური ქსელების საშუალებით აგიტაციას. დაფიქსირდა საჯარო მოხელეების მხრიდან სოციალური ქსელის პირადი გვერდების მეშვეობით გარკვეული ხასიათის პოლიტიკური მოწოდებები.⁸

ამასთან, გაურკვეველი იყო, შეეძლოთ თუ არა წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრება იმ პირებს, რომლებსაც საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ან კამპანიის წარმართვის უფლება შეზღუდული აქვთ საარჩევნო კოდექსით,⁹ მათ შორის, არ იყო ნათლად განსაზღვრული, ჰქონდათ თუ არა წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრების უფლება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს და რა პირობებით. ამ საკითხთან მიმართებით 2013 წლის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ გაითვალისწინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ინსტრუქციები და გამოსცა რეკომენდაცია, რომლითაც დაადგინა წინასაარჩევნო აგიტაციის ცნება და მონაწილეობის პირობები.¹⁰

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციის მიხედვით, პოლიციის თანამშრომლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრება, როდესაც ისინი სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდნენ და პოლიციელის ფორმა არ ეცვათ.¹¹ ასე განმარტა ეს საკითხი

⁶ http://www.electionsportal.ge/uploads/reforms/12/analysis_interfaction_group_recommendations_GEO.pdf

⁷ <http://www.osce.org/odihr/elections/110301?download=true>

⁸ <http://www.isfed.ge/main/1282/geo/>

⁹ საარჩევნო კოდექსი, 45-მუხლი

¹⁰ <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2FRekomendaciebi%2Fpdf%2FRecommendations%2030%2009%202013.pdf>

¹¹ კონსტიტუციის 25-ემუხლის და შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის 1.2-ე მუხლით, სამხედრო ძალების და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში მყოფ პირებს (მათ შორის, პოლიციელებს) შეკრების უფლება არ გააჩნიათ. გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსის 45.4-ე მუხლით, მათ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის და მასში მონაწილეობის უფლება არ აქვთ. ადამიანის უფლებებისა და

როგორც რაიონულმა, ასევე სააპელაციო სასამართლომ, როცა დაადგინა, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ პოლიციელებს წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრება არ ეკრძალებოდათ, რადგან ისინი სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდნენ.

რეკომენდაცია

საარჩევნო კოდექსით დადგენილი აგიტაციის ცნება უნდა დაკონკრეტდეს და განისაზღვროს, რომ აგიტაციას წარმოადგენს ასევე სოციალური ქსელის პირადი გვერდის საშუალებით პოლიტიკური მოწოდებების გავრცელება.

აგიტაციის ცნება უნდა მოიცავდეს ასევე წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრებას, რაც აღმოფხვრის ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ გაუგებრობას.

შემოთავაზებული ფორმულირება

მე-2 მუხლის „31“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„31) წინასაარჩევნო აგიტაცია – ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრება, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა. წინასაარჩევნო აგიტაციას, ასევე, წარმოადგენს ნებისმიერი ეს ქმედება განხორციელებული სოციალური ქსელების, მათ შორის, პირადი ანგარიშის/გვერდის საშუალებით.“.

ბ) საქველმოქმედო ორგანიზაციის და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა მონაწილეობა აგიტაციაში

პრობლემის აღწერა

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების (სკოლის, საბავშვო ბაღების პედაგოგების, ააიპების თანამშრომლების) ჯგუფურ დასწრებას მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრებზე, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ასეთი ხასიათის დასწრებები ორგანიზებულ და სავალდებულო ხასიათს ატარებდა, რაც ცალკეულ შემთხვევებში დასტურდებოდა.

ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-11 მუხლით, შეკრებების და გაერთიანებების თავისუფლების კანონიერი შეზღუდვის საფუძველი შეიძლება არსებობდეს, თუ ეს ეხება შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრებს. ასევე, მნიშვნელოვანია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების, ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის მიერ შედგენილი „სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ“ (მეორე გამოცემა, www.osce.org/odihr/73405), რომელშიც აღნიშნულია, რომ კანონმდებლობით არ უნდა იყოს შეზღუდული სამართალდამცავების (მათ შორის, პოლიციელთა და სამხედროთა) ან სახელმწიფოს ოფიციალური პირების შეკრების თავისუფლება, თუ ეს შეზღუდვა მათი მოვალეობების აღსრულებასთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაშიც აღნიშნული შეზღუდვა ზუსტად იმ ხარისხის უნდა იყოს, რომელიც აუცილებელია მათი პროფესიული მოვალეობების აღსრულებიდან გამომდინარე.

წარსულში დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც არასამეწარმეო იურიდიული პირი პარტიის სასარგებლოდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა (მაგალითად საჯარო სკოლის პედაგოგებისთვის უფასო დიაგნოსტიკური გამოკვლევების ჩატარებაში იღებდა მონაწილეობას). ვინაიდან აღნიშნული ორგანიზაცია კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული არ იყო როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია და რეგისტრაციიდან გამომდინარე მას მინიჭებული არ ჰქონდა საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი, მისი მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, კონკრეტულად კი წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის წესის დაღვევა არ დაადგინა არც საარჩევნო ადმინისტრაციამ და არც სასამართლომ. საარჩევნო ადმინისტრაციამ განმარტა, რომ საარჩევნო კოდექსის მიზნებისთვის წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს მხოლოდ საქველმოქმედო ორგანიზაციას და არა საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს.¹²

რეკომენდაცია

კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა მონაწილეობა აგიტაციაში სამუშაო საათების განმავლობაში.

საქველმოქმედო ორგანიზაციებთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს, რომ საარჩევნო კოდექსის მიზნებისთვის ორგანიზაცია საქველმოქმედოდ ითვლება მიუხედავად იმისა, დარეგისტრირებულია თუ არა ასეთად საგადასახადო ორგანოში.

შემოთავაზებული ფორმულირება

45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ზ) საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისა, ასევე იურიდიული პირებისა, რომლებიც საქველმოქმედო საქმიანობას ახორციელებენ საგადასახადო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, მიუხედავად იმისა აქვთ თუ არა მინიჭებული ამავე კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებული საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი;

თ) საბიუჯეტო ორგანიზაციაში დასაქმებული პირებისა – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს;“.

გ) აგიტაციაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობა

პრობლემის აღწერა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას დაფიქსირდა სააგიტაციო შეხვედრებში უცხო ქვეყნის მოქალაქის ჩართვის ფაქტები კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.¹³ მიუხედავად საჩივრების არსებობისა, საარჩევნო ადმინისტრაციებმა აღნიშნულ ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება არ მოახდინეს. მათი

¹² <https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=3735>

¹³ <https://gyla.ge/ge/post/gubernatoris-moadgile-samushao-saatebshi-socialur-qselshi-agitacias-etseoda>

განმარტებით, საქმე ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ამავდროულად არ იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და მის მიერ საარჩევნო კოდექსით აკრძალული ქმედების განხორციელება ვერ გახდებოდა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების, მათ შორის, სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველი. საარჩევნო ადმინისტრაციების გადაწყვეტილებით, საჩივრები არ დაკმაყოფილდა¹⁴ და უცვლელი დარჩა ქვემდგომი კომისიების ხელმძღვანელ პირთა გადაწყვეტილებები.¹⁵

რეკომენდაცია

მიგვაჩნია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქის აგიტაციაში მონაწილეობისას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ პირს, ვინც უზრუნველყო უცხო ქვეყნის მოქალაქის აგიტაციაში მონაწილეობა.

შემოთავაზებული ფორმულირება

45-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 71¹ პუნქტი:

„71) წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზატორის მიერ ამ კანონით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) წესების დარღვევად მიიჩნევა წინასწარი შეცნობით იმ პირის მონაწილეობის უზრუნველყოფა აგიტაციაში, ვისაც აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს.“.

79-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 79. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება ან/და იმ პირის აგიტაციაში მონაწილეობის უზრუნველყოფა, რომელსაც არ აქვს აგიტაციაში მონაწილეობის უფლება– გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.“.

დ) თანამდებობის პირების მონაწილეობა აგიტაციაში

პრობლემის აღწერა

ხშირია შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირები აქტიურად არიან ჩართულნი წინასაარჩევნო კამპანიაში მმართველი პარტიის სასარგებლოდ. მართალია, პოლიტიკური თანამდებობის პირები საარჩევნო პროცესებში მონაწილეობით კანონმდებლობას არ არღვევენ, მაგრამ ეს ხელს არ უწყობს თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნას. ადამიანური განზომილების შესახებ ეუთოს კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტში ჩამოყალიბებული მოსაზრების თანახმად, უნდა არსებობდეს „ნათელი განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის“.

რეკომენდაცია

¹⁴ №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს №02-44 გადაწყვეტილება; №21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 8 აგვისტოს №69 გადაწყვეტილება და საჩივრების ცესკოში რეგისტრაციის №2719 და №2751

¹⁵ <http://cesko.ge/res/docs/CG326.pdf>

კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს პარტიულ საქმიანობასა და საჯარო სამსახურს შორის უფრო მკაფიო ზღვრის გავლება. მიგვაჩნია, რომ მინისტრის მოადგილეებს და გუბერნატორებს არ უნდა ჰქონდეთ კამპანიაში შეუზღუდავად მონაწილეობის უფლება.

შემოთავაზებული ფორმულირება

მე-2 მუხლის „ხ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ხ) პოლიტიკური თანამდებობის პირი – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი;“.

III. საარჩევნო დავები

ა) სუბიექტთა წრე

პრობლემის აღწერა

გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე საარჩევნო დავებთან დაკავშირებით ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს საჩივრის განუხილველად დატოვება იმ მოტივით, რომ ერთი და იმავე ფაქტის შესახებ საოლქო და საუბნო კომისიებში საჩივარი წარდგენილი იყო ორგანიზაციის სხვადასხვა დამკვირვებლის მიერ. ამ საფუძველით საოლქო კომისიებმა რამდენიმე შემთხვევაში არაუფლებამოსილ პირად ცნეს საოლქო კომისიაში საჩივრის წარმდგენი „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელი და საჩივარი არ განიხილეს. ამასთან, მათი განმარტებით, საჩივარი საოლქო კომისიაში უნდა წარედგინა საუბნო კომისიაში მყოფ დამკვირვებელს, რომელმაც დააფიქსირა დარღვევა და საჩივარი წარადგინა შესაბამის საუბნო კომისიაში. მსგავსი განმარტება სრულიად მიუღებელია და ხელს უშლის სადამკვირვებლო მისიის განხორციელებას.

ნებისმიერ აკრედიტირებული დამკვირვებელი სადამკვირვებლო საქმიანობის განხორციელებისას ორგანიზაციის მანდატით და სახელით მოქმედებს, ორგანიზაციისგან მიღებული ინსტრუქციის საფუძველზე. საჩივრის წარდგენაც სადამკვირვებლო საქმიანობის ნაწილია და არ შეიძლება მისგან განცალკევებით განიხილებოდეს. დამკვირვებლის წარდგენილი საჩივარი ორგანიზაციის მიერ წარდგენილ საჩივრად ითვლება და ამ შემთხვევაში კონკრეტული დამკვირვებლის სახელს და გვარს არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ამასთან, არჩევნების დღის სპეციფიკიდან გამომდინარე სრულიად წარმოუდგენელია, რომელიმე დამკვირვებელმა დატოვოს საარჩევნო უბანი და საჩივრის წარდგენის მიზნით საოლქო კომისიაში წავიდეს. ეს არათუ ხელს შეუშლის, არამედ შეუძლებელს გახდის ორგანიზაციის მიერ დამკვირვების განხორციელებას და საზოგადოებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას პროცესის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტს არ აქვს მასშტაბური ხასიათი და მხოლოდ რამდენიმე საოლქო კომისიაში დაფიქსირდა, მნიშვნელოვანია ამ საკითხის ნათლად დარეგულირება კანონმდებლობით, რომ ისევ არ მოხდეს საოლქო კომისიების მიერ საჩივრების უსაფუძვლოდ დატოვება განუხილველად. საკითხის მოგვარების მიზნით, ცესკოს მიერ 2016 წელს დამტკიცებულ საარჩევნო დავების სახელმძღვანელოში გაკეთდა შესაბამისი განმარტება, თუმცა როგორც

პრაქტიკამ აჩვენა, ეს არ იყო საკმარისი და ეფექტური, ვინაიდან მსგავს ფაქტებს ისევ ჰქონდა ადგილი.

დამკვირვებელი არის დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის წარმომადგენელი საარჩევნო უბანზე, რომელიც მოქმედებს ამ ორგანიზაციის ინტერესების შესაბამისად საარჩევნო ადმინისტრაციასა თუ სასამართლოში. ამასთან, საარჩევნო კოდექსი, კერძოდ, 78-ე მუხლი აყალიბებს რა სხვადასხვა ტიპის დავებზე მოსარჩელე პირთა წრეს, აწესებს დიფერენცირებულ მიდგომას დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციისა და მისი დამკვირვებლის მიმართ. აღნიშნულ მუხლში ერთი ტიპის დავებზე მოსარჩელედ დასახელებულია თავად ორგანიზაცია, ხოლო სხვა შემთხვევაში ორგანიზაციის დამკვირვებელი საოლქო თუ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თითქმის მსგავსი ტიპის დავებზე, მაგალითად, საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში, ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო, სასამართლოში მიმართვის უფლება აქვს დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, ხოლო, საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის ან არცნობის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს მხოლოდ არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. აღნიშნული გარკვეულ პრობლემებს უქმნის ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, ეფექტურად მართონ საკუთარი რესურსები, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ წინასაარჩევნო პერიოდი და, მით უფრო, არჩევნების დღე საკმაოდ დატვირთულ რეჟიმში მიმდინარეობს.

იმავდროულად, მნიშვნელოვანია გადაიხედოს 78-ე მუხლის ცალკეული პუნქტები, რომელთა მიხედვით, რიგ შემთხვევებში, დამკვირვებელ ორგანიზაციას არ აქვს უფლება, იყოს მოსარჩელე და სასამართლოში წარადგინოს სარჩელი საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის.¹⁶

რეკომენდაცია

საარჩევნო კოდექსით ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციის ნებისმიერ დამკვირვებელს შეუძლია საჩივარი წარადგინოს იმ დარღვევაზე, რაზეც საჩივარი წარადგინა და დააფიქსირა ამავე ორგანიზაციის სხვა დამკვირვებელმა.

მიგვაჩნია, რომ არ უნდა არსებობდეს ასეთი მკვეთრი დიფერენციაცია და დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საშუალება, თავადაც იყოს დასახელებული მოსარჩელედ ყველა იმ დავაზე, სადაც, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლება კონკრეტულ საარჩევნო კომისიაში მხოლოდ მის წარმომადგენელს აქვს.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს სუბიექტთა წრე და საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ ყველა შემთხვევაში გასაჩივრების უფლება ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებსაც განესაზღვროს (მაგალითად, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციის საკითხი).

¹⁶ საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საიას დამკვირვებლის სარჩელი და განმარტა, რომ დამკვირვებლის უფლებამოსილებას არ წარმოადგენს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და მათზე რეაგირება (ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 19.06.2014 წლის განჩინება, საქმე #020310014526651(3/41-14)).

შემოთავაზებული ფორმულირება

ა) 78-ე მუხლის მე-10 და 11-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო რეგისტრაციისა და მათი წარმომადგენლების რეგისტრაციის გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვს:

ა) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, თუ ცესკოს თავმჯდომარემ რეგისტრაციაში არ გაატარა ეს პარტია, საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი ან მათი წარმომადგენლები, ან გააუქმა მათი რეგისტრაცია;

ბ) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, თუ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრაციაში არ გაატარა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი ან მათი წარმომადგენლები ან გააუქმა მათი რეგისტრაცია;

გ) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, თუ მათ მიაჩნიათ, რომ პარტია, საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი რეგისტრაციაში საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გატარდა;

დ) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, თუ მათ მიაჩნიათ, რომ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი რეგისტრაციაში საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გატარდა.

11. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სიის, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატების, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის, მერობის/გამგებლობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:

ა) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, მაჟორიტარ კანდიდატს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, თუ ცესკოს თავმჯდომარემ რეგისტრაციაში არ გაატარა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატი, პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სია, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრაციაში არ გაატარა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას პარტიის/საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატები, საკრებულოს არჩევნებისას პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სია, სიაში შეყვანილი ცალკეული

კანდიდატები, პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატები, თვითმმართველი ქალაქის (გარდა ქალაქ თბილისისა)/თემის მერის/გამგებლის არჩევნებისას პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი მერობის/გამგებლობის კანდიდატები, ან/და ამ კომისიების თავმჯდომარეებმა გააუქმეს მათი რეგისტრაცია;

ბ) საარჩევნო რეგისტრაციის მქონე, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, თუ მათ მიაჩნიათ, რომ ცესკოს თავმჯდომარემ პარტიული/საარჩევნო ბლოკის სია, პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატი რეგისტრაციაში საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გაატარა, აგრეთვე თუ პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ მოთხოვნებს ან მათი ეს მოთხოვნები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დაკმაყოფილდა;

გ) საარჩევნო რეგისტრაციის მქონე, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, თუ მათ მიაჩნიათ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პარტიული/საარჩევნო ბლოკის სია, მაჟორიტარული წესით წარდგენილი ან პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები, თვითმმართველი ქალაქის (გარდა ქალაქ თბილისისა)/თემის მერობის/გამგებლობის კანდიდატები რეგისტრაციაში საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გაატარა, აგრეთვე თუ მაჟორიტარული წესით წარდგენილი ან პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ მოთხოვნებს ან მათი ეს მოთხოვნები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დაკმაყოფილდა.

ბ) 78-ე მუხლის 21-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„21. საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის ან არცნობის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, მაჟორიტარ კანდიდატს, თვითმმართველი ქალაქის/თემის მერობის/გამგებლობის კანდიდატს, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

გ) 78-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 25-ე პუნქტი:

„25. თუ საუბნო კომისიაში განცხადებელი/მომჩივანი არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელია, ასეთ შემთხვევაში იმავე დარღვევაზე განცხადების/საჩივრის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენის უფლება აქვს, ამ ორგანიზაციის რეგისტრირებულ სხვა დამკვირვებელსაც, ხოლო თუ განმცხადებელი/მომჩივანი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელია საუბნო საარჩევნო კომისიაში, ასეთ შემთხვევაში ამ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.“

ბ) სარჩელის და საჩივრის ფორმები

პრობლემის არსი

საარჩევნო დავებთან დაკავშირებით, სასამართლოში სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის წარდგენა ხდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმებით. აღნიშნული ფორმები არ არის მორგებული საარჩევნო დავების სპეციფიკაზე. ისინი, ჩვეულებრივ, გამოიყენება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, სადაც სარჩელის წარდგენის ვადა 1 თვემდე მერყეობს. მაშინ, როდესაც საარჩევნო დავებზე გასაჩივრების ვადა მინიმალურია - ძირითადად 2 დღე. მოქალაქეების და გასაჩივრების უფლების მქონე სხვა პირთა მიერ სარჩელის არსებული ფორმების შევსება ან მათ შევსებასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაციის მიღება ადვილი არ არის.

რეკომენდაცია

მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრების პროცედურა იყოს მარტივი, რასაც ხელს შეუწყობს საჩივრის სპეციალური ფორმების არსებობა. გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო დავები ვადებში ძალიან შემჭიდროებულია, მართებული იქნება, თუ მარტივი ფორმები შემუშავდება ნებისმიერი საარჩევნო დავისთვის (საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილების, მოქმედების ან უმოქმედობის გასაჩივრება), იმის გათვალისწინებით, რომ მათი შევსების ვადები, სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, ძალიან მცირეა.

გ) კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო კომისიაში

პრობლემის აღწერა

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 124-ე მუხლი ადგენს, რომ საოლქო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისა და რაიონული/საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს. მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე საოლქო კომისია არ არის ვალდებული კენჭისყრის შედეგების შეჯამებისას გაითვალისწინოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ საოლქო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შეჯამების შემდეგ სააპელაციო სასამართლომ მაგალითად, ბათილად ცნო საუბნო კომისიის შედეგები ან სხვა გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნების შედეგებზე.

რეკომენდაცია

საოლქო კომისიამ კენჭისყრის შედეგები უნდა შეაჯამოს ყველა ინსტანციის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით.

შემოთავაზებული ფორმულირება

124-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების, რაიონული/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, თავის სხდომაზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და შეაქვს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.“

დ) სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარება

პრობლემის არსი

საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადას, თუმცა ასეთი ვადა არაა დადგენილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მხარეებისთვის ჩასაბარებლად.

რეკომენდაცია

საარჩევნო კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადას, როგორც ეს დადგენილია რაიონული/საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში.

შემოთავაზებული ფორმულირება

77-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სასამართლოში სარჩელის/საჩივრის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისიას/ცესკოს სარჩელის/საჩივრის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. რაიონული/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილება მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მხარეებს.“.

ე) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენაზე საარჩევნო ადმინისტრაციის უარის გასაჩივრება სასამართლოში

პრობლემის არსი

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება¹⁷ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თუმცა სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სარჩელი არ მიიღო წარმოებაში.¹⁸

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაზე სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი განეხილა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა უფლებამოსილი ემსჯელა საკითხზე, თუკი ცესკო დააკმაყოფილებდა საჩივარს და სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით შეადგენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს. სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული სარჩელი არ განეკუთვნებოდა სასამართლოს განსახილველ საქმეთა კატეგორიას და სარჩელი წარმოებაში არ უნდა ყოფილიყო მიღებული.

¹⁷ <http://cesko.ge/res/docs/CG326.pdf>

¹⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 აგვისტოს N3/6002-16 განჩინება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებასთან დაკავშირებით კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლოში წარადგინა, რომლითაც მოითხოვა წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმება და საქმის არსებითად განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოში დაბრუნება. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ სრულად გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს არგუმენტები საქმის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და არ დაკმაყოფილა კერძო საჩივარი.¹⁹

შესაბამისად, ცესკოს (ან სხვა ორგანოს) განკარგულებები, რომლითაც ამგვარი სანქციების გამოყენებაზე უარია ნათქვამი, გასაჩივრებას არ ექვემდებარება, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.²⁰

რეკომენდაცია

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საარჩევნო კოდექსით პირდაპირ განისაზღვროს ცესკოს თავმჯდომარის, აგრეთვე ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირების (თანამდებობის პირების) მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენაზე უარის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

ვ) შემაჯამებელი ოქმების შესწორების ოქმების შედგენის წესი

პრობლემის აღწერა

საოლქო საარჩევნო კომისიები და სხვადასხვა დონის სასამართლოები არასწორად განმარტავენ საარჩევნო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსს.

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ხშირად არ ესწრება კენჭისყრის მეორე დღეს შესწორების ოქმების შედგენის სხდომას. ნაწილი მათგანი აღნიშნულ პროცედურაში არასაპატიო მიზეზის გამო არ მონაწილეობს, რაც შესაძლოა გახდეს მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა, თუმცა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემაჯამებელი ოქმების შესწორების ოქმების შედგენისას არ მიეცა ამ საკითხს ადეკვატური შეფასება და კანონიერად იქნა მიჩნეული კომისიის წევრთა მხოლოდ უმრავლესობის მიერ ოქმის შედგენა.

რეკომენდაცია

შევიდეს ცვლილება საარჩევნო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში.

კენჭისყრის მეორე დღეს შესწორების ოქმების შედგენისას გარდა კომისიის წევრებისა, ასევე დაბარებული უნდა იყოს ოქმის შედგენისას საარჩევნო უბანზე მყოფი ყველა პირი. შედგეს ტექნიკური საშუალებით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დაბარების ოქმი.

ზ) საარჩევნო დოკუმენტაციის გადასინჯვა

¹⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 18 აგვისტოს N38/1508-16 განჩინება.

²⁰ <https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/375682?download=true>

ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საოლქო კომისიების მიერ მხოლოდ საუბნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება დარღვევის სიმძიმის მიუხედავად. თავისთავად, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა კომისიის წევრებმა წარმოადგინონ თავისი ახსნა-განმარტება, რომელშიც მოცემული იქნება მათი მოსაზრება დარღვევის გარემოებებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ერთ-ერთი მტკიცებულება იყოს საოლქო კომისიის მიერ საქმის შესწავლის პროცესში. თუმცა, სამწუხაროდ, სრულიად მიუღებელი და გაუმართლებელი პრაქტიკა დამკვიდრდა საოლქო კომისიების მიერ ახსნა-განმარტებების გამოყენების თვალსაზრისით, რაც წინა წლებშიც ფიქსირდებოდა, მაგრამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე აშკარად გამოკვეთილი და უარყოფითი ტენდენციის სახე მიიღო. უბნის კომისიის წევრების მიერ შედგენილ ახსნა-განმარტებებს საოლქო კომისიები იღებენ, როგორც უტყუარ და საკმარის მტკიცებულებად ნებისმიერი დარღვევის გარემოებების დასადგენად, განურჩევლად დარღვევის სიმძიმისა, იქნება ეს შემაჯამებელ ოქმში მონაცემების გადასწორება, ოქმში არსებული დისბალანსი სუბიექტების მიერ მიღებულ ხმებსა და არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას შორის, თუ რომელიმე რეკვიზიტის გამოტოვება.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ასეთი ახსნა-განმარტებები იწერება კენჭისყრის დღის შემდეგ საოლქო კომისიებში, რაც კიდევ უფრო მიუღებელს ხდის დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომ საოლქო კომისიები ამ ახსნა-განმარტებებს მიიჩნევენ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად საკმარის და ერთადერთ მტკიცებულებად. გაუგებარია დარღვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაწერილი ახსნა-განმარტება როგორ შეიძლება ჩაითვალოს სარწმუნო ინფორმაციად.

აღნიშნულ ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით საოლქო კომისიები თავს არიდებდნენ კენჭისყრის შედეგების გადასინჯვას, მიუხედავად დარღვევის სიმძიმისა (მაგალითად, ოქმში მონაცემების გადაკეთება; ბალანსის არ არსებობა ოქმში, ა.შ.), რაც ეჭვებს აჩენს არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით და ამცირებს სანდოობას როგორც არჩევნების, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ.

რეკომენდაცია

კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც საარჩევნო კომისია ვალდებული იქნება გადასინჯოს საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შედეგები.

შემოთავაზებული ფორმულირება

21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ¹“ პუნქტი:

„დ¹) ვალდებულია გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როცა საუბნო კომისიის მიერ შედგენილ შემაჯამებელ ოქმში გადასწორებულია სუბიექტების მიერ მიღებული ხმები, ამომრჩეველთა რაოდენობა ან ბათილი ბიულეტენები ან სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობის ჯამი აღემატება არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას ან სხვა შემთხვევებში, საარჩევნო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.“

თ) საარჩევნო კომისიის ფუნქციებში და საქმიანობაში ჩარევა

პრობლემის აღწერა

როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ასევე საერთო სასამართლოების მიერ არასწორი პრაქტიკა იქნა დადგენილი საარჩევნო კოდექსში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე მიღებულ 91¹-ე მუხლთან მიმართებით, რომელიც საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევისათვის ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ 2017 წლის 6 სექტემბრის დადგენილებით სამართალდამრღვევად სცნო პირი საარჩევნო კოდექსის 91¹-ე მუხლის საფუძველზე და სანქციის სახით შეუფარდა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. სასამართლომ 91¹-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ობიექტურ შემადგენლობად მიიჩნია პირის სამტრედიის N54 საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში დამხმარე შესასვლელიდან შესვლა თანმხლებ პირებთან ერთად და ვიდეო კამერით შენობაში არსებული სიტუაციის გადაღება. სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, გადაღებისას პირი აკეთებდა კომენტარებს, რამაც ოქმის შემდგენლის თქმით საარჩევნო კომისიის წევრებში გამოიწვია დაბნეულობა და სიტუაციაში გასარკვევად საჭირო გახდა სამუშაო პროცესის, კერძოდ მხარდამჭერთა სიების შემოწმების შეჩერება.²¹

ანალოგიურ საქმესთან დაკავშირებით თელავის რაიონულმა სასამართლომ 2017 წლის 12 სექტემბრის დადგენილებით, ასევე, სამართალდამრღვევად სცნო პირი საარჩევნო კოდექსის 91¹-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაში. ამ შემთხვევაში თელავის N17 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პირს ედავებოდა თავმჯდომარის კაბინეტში უნებართვოდ შეჭრას და შიდა თათბირის ჩაშლას,²² რის გამოც თავმჯდომარემ იგი განკარგულებით გააძევა შენობიდან და მომხდარი ფაქტიდან მეორე დღეს მის მიმართ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი იმ მოტივით, რომ დამრღვევი ჩაერია კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში.²³ ჩვენი ინფორმაციით, რეალურად ადგილი არ ჰქონდა საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომას. აღნიშნული დადგენილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. საქმის განხილვა წარიმართა ზეპირი მოსმენის გარეშე და შედეგად სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება.²⁴

სამტრედიის და თელავის შემთხვევებში, როგორც საარჩევნო კომისიების შესაბამისი თანამდებობის პირების, ასევე შესაბამისი სასამართლოების გადაწყვეტილებებში გამოვლინდა კომისიის საქმიანობაში/ფუნქციებში ჩარევისა და ხელის შეშლის/წესრიგის ფაქტების გამოიჯვინის პრობლემა. ამდენად, მსგავსი ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, კომპეტენტური ორგანოების მიერ ზემოაღნიშნული ნორმის სწორი განმარტება ან მეორე მხრივ, მითითებულ ნორმაში იმგვარი ცვლილების განხორციელება, რომელიც სამართლებრივ დონეზე გამიჯნავს კომისიის საქმიანობაში/ფუნქციებში ჩარევისა და კომისიისათვის ხელის შეშლის/წესრიგის ცნებებს და უფრო განჭვრეტადს გახდის მათ. ასევე შესაძლებელს გახდის იმის დადგენას, მოიცავს თუ არა კომისიის საქმიანობაში/ფუნქციებში ჩარევა იმავდროულად ხელის შეშლას და წესრიგის დარღვევასაც, რომლისთვისაც საარჩევნო ადმინისტრაციის შენობიდან გაძევებასთან ერთად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ჯარიმაც 500 ლარის ოდენობით.

²¹ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 6 სექტემბრის დადგენილება საქმეზე N4/298-17.

²² <https://www.youtube.com/watch?v=t012h6I881s>, <https://www.youtube.com/watch?v=tjinnlaxZSY>

²³ თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 12 სექტემბრის დადგენილება საქმეზე N4/568-17.

²⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 26 სექტემბრის დადგენილება საქმეზე N4/ა-731-17.

რეკომენდაცია

მეტი სიცხადისთვის სასურველია განიმარტოს, თუ რას ნიშნავს ხელის შეშლა და ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა.

შემოთავაზებული ფორმულირება

საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹² პუნქტი:

ხელის შეშლა - საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლად უნდა ჩაითვალოს საარჩევნო უბანში ყოფნის უფლების მქონე პირის ქმედება, რომლითაც საარჩევნო კომისიის წევრს ხელი ეშლება მისთვის საარჩევნო კოდექსით მინიჭებული ფუნქციების განხორციელებაში. ხელის შეშლად და წესრიგის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს დამკვირვებელთა, მედიისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელება, მათ შორის კანონის მოთხოვნათა დაცვის თაობაზე მითითება, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრთა კრიტიკა.

საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹³ პუნქტი:

ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა - საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევად ჩაითვლება საარჩევნო უბანში ყოფნის უფლების მქონე პირის იმგვარი ქმედება, რომლითაც ეს უკანასკნელი უშუალოდ იკისრებს საარჩევნო კომისიის წევრისთვის საარჩევნო კოდექსით მინიჭებული ფუნქციის განხორციელებას. ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევად არ უნდა ჩაითვალოს დამკვირვებელთა, მედიისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელება, მათ შორის კანონის მოთხოვნათა დაცვის თაობაზე მითითება, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრთა კრიტიკა.

ი) დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების წესი

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

პრობლემის აღწერა

გასული არჩევნების განმავლობაში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისია ადგენდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს, თუმცა არ აკისრებდა მას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას იმ მიზეზით, რომ დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს მის მიმართ გადაწყვეტილების მიღების დროისთვის შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება.

რეკომენდაცია

დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირების მიზნით, თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ საჩივარია შეტანილი, უმჯობესია მათ გაუხანგრძლივდეთ უფლებამოსილების ვადა იმ დრომდე, სანამ არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ უფლებამოსილების ვადის ამ მიზნით გახანგრძლივება არ გამოიწვევს ანაზღაურების უფრო მეტი პერიოდისათვის მიცემასაც, ვინაიდან ეს ორი საკითხი ცალ-ცალკე ნორმებითაა რეგულირებული. საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და ხელმძღვანელ პირებს (ზემდგომი

საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით) არჩევნების დღემდე 30-ე დღიდან ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენამდე ეძლევათ ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან.“

შემოთავაზებული ფორმულირება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 25-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე. გამონაკლისი წესდება იმ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაზე, ვის მიმართაც წარდგენილია საჩივარი მათ მიერ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო. ასეთ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუხანგრძლივდება უფლებამოსილების ვადა იმ დრომდე, სანამ არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.“

IV. გადასატანი ყუთის სია

პრობლემის აღწერა

გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს საარჩევნო უფლების რეალიზებას იმ პირთათვის, რომლებსაც ჯანმრთელობის თუ მეზღუდული შესაძლებლობის გამო კენჭისყრის დღეს არ შეუძლიათ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემა.

საარჩევნო კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე მაინც. ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეჰყავთ მას შემდეგ, რაც: საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაში გაატარებს და ხელმოწერით დაადასტურებს ამომრჩევლის წერილობით განცხადებას ან სატელეფონო ზეპირ განცხადებას, სატელეფონო შეტყობინების ზუსტი დროისა და შესაბამისი ტელეფონის ნომრის მითითებით.

საარჩევნო კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გადასატანი ყუთის სიაში შეყვანილი ამომრჩეველების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული ამომრჩეველების 3 პროცენტს. აღნიშნული რაოდენობის შევსების შემდეგ ამომრჩეველთა გადასატანი ყუთის სიაში შეყვანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სხდომაზე დამსწრეთ ორი მესამედით.

უნდა აღინიშნოს, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის შეყვანისას საუბნო საარჩევნო კომისია არ იკვლევს ფაქტობრივ გარემოებებს, არ ამოწმებს, რეალურად უშლის თუ არა ხელს ჯანმრთელობის მდგომარეობა ან მეზღუდული შესაძლებლობა ამომრჩეველს უბანზე გამოცხადებაში და სხვა.

ასევე, პრაქტიკაში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო უბანზე სხვა ადამიანები წარადგინენ განცხადებებს კონკრეტული ამომრჩევლების გადასატანი ყუთის სიაში შეყვანასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც ხდება შემდგომში ამ ამომრჩევლების შეყვანა გადასატანი ყუთის სიაში. პრაქტიკაში ფიქსირდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამომრჩევლები მოგვიანებით იგებენ ინფორმაციას გადასაყანი ყუთის სიაში მათი ნების გარეშე შეყვანის ფაქტების შესახებ, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევს.²⁵

რეკომენდაცია

მიგვაჩნია, რომ გადასატანი ყუთის სიაში ამომრჩევლის შეყვანა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ამომრჩევლის ან მისი ოჯახის წევრის განცხადების საფუძველზე, რომელიც უნდა მიეწოდოს საუბნო საარჩევნო კომისიას პირადად ამომრჩევლის ან მისი ოჯახის წევრის მეშვეობით. ამომრჩევლისა და მისი ოჯახის წევრის გარდა არავის უნდა ჰქონდეს ამომრჩევლის სახელით გადასატანი ყუთის სიაში შეყვანის მოთხოვნით განცხადების საუბნო საარჩევნო კომისიაში წარდგენის უფლება. ამასთან, სატელეფონო შეტყობინება არ უნდა წარმოადგენდეს ამომრჩევლის გადასატანი ყუთის სიაში შეყვანის სამართლებრივ საფუძველს. თუ ამომრჩეველს არ შეუძლია უბანზე მისვლა და მას არ ყავს ოჯახის წევრი, ასეთ შემთხვევაში სატელეფონო ან სხვა საშუალებით მიღებული შეტყობინების საფუძველზე, შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ უნდა შეამოწმოს ადგილზე გადასატანი ყუთში ამომრჩევლის შეყვანის საჭიროება და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება ამომრჩევლის გადასატანი ყუთის სიაში შეყვანის შესახებ.

²⁵ <https://gyla.ge/ge/post/gadasatani-yutis-siashi-amomrchevelta-sheyvana-shesadzloa-siskhlis-samartlis-danashaulis-nishnebs-sheicavdes>